ჰორიზონტი

1.

ერთ დღეს კაცი სახლში სევდიანი დაბრუნდა და მიხვდა, რომ გარემომცველი სამყაროთი უსაზღვროდ დაიღალა. მეუღლეს მღელვარედ გასძახა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ალბათ ისევ მუსიკას უსმენს მაღალ ხმაზე – გაიფიქრა დაღლილმა კაცმა და ეცადა თვალები დაეხუჭა. სკამზე გადაწვა და ფიქრმა გაიტაცა. ცხადად ჩანდა, რომ რაღაც უნდა შეეცვალა, დაღლა როგორმე განექარვებინა. ინატრა, ისევ ბავშვად ქცეულიყო, გამხდარიყო უზრუნველი, როგორც ეს ერთ დროს იყო. მოაგონდა ის დღე, როდესაც ღრმა ბავშვობაში მამამ პირველად ზღვაზე წაიყვანა. საღამოს ოქროსფერი სანაპირო და ჩამავალი მზით მორთული ზეცის სურათი, ჰორიზონტის ელვარე მზერა, რომელსაც მისი თვალები პირველად და აღტაცებით შესცქერდნენ.

გადაწყვიტა, ჰორიზონტის სანახავად წასულიყო, თუნდაც ხვალ, მიუხედავად სასწავლო პროცესისა და გადატვირთული განრიგისა, იქნებ როგორმე მოეხერხებინა რამდენიმე დღით შვებულებაში გასვლა. მის წასვლას დიდად არც არავინ იდარდებდა.

დაღლილმა კაცმა მეუღლეს კიდევ ერთხელ გასძახა და ამჯერად წარმატებით მიაწვდინა ხმა.

– რატომ ყვირი, რა მოხდა?!

– ხვალ მივდივართ! – განაცხადა კაცმა.

– სად მივდივართ?! – გაუკვირდა ქალს.

– ზღვაზე! – არ დაახანა კაცის პასუხმა.

ქალს სიცილი აუტყდა. რამდენიმე წამის მანძილზე ოთახს მძაფრი კისკისის ნიავმა გადაუარა, რომელსაც თითქოს საზარელი ქარიშხლის შესახებ ცნობები მოჰქონდა.

– კარგი, მორჩი ხუმრობას. დღეს ჩემმა მეგობარმა, გრეტამ დარეკა და თავის იუბილეზე დაგვპატიჟა. ხვალ არის, ხომ იცი სადაც ცხოვრობს, მგონი მისი ქალაქი საკმაოდ ახლოს უნდა იყოს ზღვასთან.

– მე არ ვხუმრობ, – განაგრძო ქმარმა ისე, რომ თითქოს არც აინტერესებდა იუბილეს ამბავი. – მინდა, ზღვაზე წავიდეთ!

– გეყოს ახლა, ისედაც მოსაწყენი დღეა, ნუღარ დამიმატებ.

– რა არის მაინც ცუდი იმაში, რომ ხვალ ზღვაზე წავიდეთ, – განაგრძობდა კაცი და დროგამოშვებით თვალებს ხუჭავდა, ცდილობდა წარმოედგინა საკუთარი თავი ზღვის სანაპიროზე.

– ვინ დადის ნოემბერში ზღვაზე, ჭკუიდან შეიშალე?!

– რა მნიშვნელობაა აქვს თვეს, ზღვა ხომ არ იცვლება, – თითქმის მძინარე ხმით წარმოთქვა კაცმა.

მეუღლე მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა დაასევდიანა. მიხვდა, რომ კაცი არ ხუმრობდა და მართლა გადაეწყვიტა ხვალ ზღვაზე წასვლა, მიუხედავად შე-

მოდგომისა და უამინდობისა. გაიფიქრა, რომ ქმრის ამ ზრახვაში სხვა დაფარული მიზანი სუფევდა. ალბათ საყვარელი გაიჩინა და მისი ნახვა სურს – გაეფიქრა ქალს. ამჩნევდა, რომ ბოლო დროს კაცი ცოტათი შეიცვალა და გამუდმებით დაღლას იმიზეზებდა. ყველაფერი ნათელი იყო, ზღვა მხოლოდ ღალატის სამარცხვინო საბაბად ქცეულიყო, დაღლა კი მამლის საზარელ დაყივლებად, ურცხვად რომ ერთვის ყოველ მოსაწყენ განთიადს.

– მაინც რა დაგრჩენია ზღვაზე?! – გამოერკვა ფიქრებიდან ქალი.

– ჰორიზონტი! მინდა ჰორიზონტი ვნახო...

ქალს გაეღიმა. ღალატი სახელად ჰორიზონტი, ისევ გაეფიქრა, მაგრამ გადაწყვიტა არაფერი ეთქვა, ისედაც ხვდებოდა, რომ მათი ერთად ყოფნის დღეები დათვლილი იყო. ქალს ხომ ეგონა, რომ კაცის მეგობარი, რომა უყვარდა.

– სხვათა შორის, იუბილეზე შენი მეგობარი, რომაც იქნება – თქვა ქალმა იმ იმედით, რომ კაცს აზრს შეაცვლევინებდა.

– მაგრამ მე მინდა ჰორიზონტი ვნახო! – მეოცნებეს აღტყინებით უპასუხა კაცმა.

– კარგი, რაც გინდა ის ნახე, მე იუბილეზე წავალ. შენ თუ არ გინდა წამოსვლა შენი ნებაა.

კაცს აღარაფერი უპასუხია. მიუხედავად ყველაფრისა მაინც ძლიერ უყვარდა მეუღლე. სჯეროდა, რომ ბოლოს მასთან ერთად წამოვიდოდა ჰორიზონტის სანახავად, მაგრამ თუ ამგვარად არ მოხდებოდა, მაინც იგივენაირად ეყვარებოდა, როგორც ახლა უყვარდა, როცა ოთახი ქალის მრისხანების წვეთებით ივსებოდა.

2.

რამდენჯერ მოხვედრილა უცნობ ფოტოსურათში და რამდენი მზერა შეხვედრია მის მზერას, თუმცა მათ შორის არცერთი მათგანი გულწრფელი არ ყოფილა. ძირითადად ზაფხულობით მოდიოდნენ, ზღვის სეზონზე, სანაპიროზე საათობით დადგებოდნენ და მისკენ მიმართავდნენ მზერას, მაგრამ თავად მას კი ვერასოდეს ამჩნევდნენ. არადა როგორ არ ცდილობდა საკუთარი სიფერმკრთალე, შესამჩნევი გაეხადა. ყველაზე ხშირად ხელს ჩამავალი მზის სურათი უშლიდა, გათენებისას კი გარიჟრაჟის ამომავალი მზე, რომელიც ადამიანთა ყურადღებასა და ვნებებს იპყრობდა. ზოგჯერ კი ზღვის ტალღებზე მოლივლივე გემები ჩრდილავდნენ მის სახეებას.

სანაპიროებზე მყოფნი ძირითადად ერთობოდნენ, ცურვით ირთობდნენ თავს ანაც სხვადასხვაგვარი თამაშობებით. განსაკუთრებით უყვარდა, როცა სიშორიდან ბავშვების აშენებულ ქვიშის სასახლეებს უმზერდა. ხიბლავდა მათი ეფემერულობა, როგორც საკუთარი თავის, გახვეულს დღის სილურჯეში. საღამო როცა კი მოახლოვდებოდა, ადამიანები ფოტოების გადაღებას იწყებდნენ, ხანაც ერთმანეთისთვის, ზოგჯერ კი მზის ჩასვლის სევდიან სურათს აღბეჭდავდნენ მარადიულ წამში. ამ დროს სევდიანდებოდა, რადგან იცოდა, რომ არცერთ ფოტოსურათში მთავარი როლი მას არ ჰქონდა. ყოველ მათგანში უმნიშვნელო ფონად დარჩენილიყო, ყველასგან მივიწყებულ და სევდიან მოცისფრო ფონად. მის წინ მყოფობდა ყველა, ზღვის მოლივლივე ტალ-

ღები, ათასფერადი გემები, ურიცხვი სანაპიროები თუ გასართობად შეკრებილი, სიამით სავსე ადამიანები. ყველაფერი მის წინ არსებობდა, თითქოს წინ უსწრებს სამყაროსეულ არსებობასო.

იცოდა, რომ ყველა გულგრილი იყო მის მიმართ, არადა ხშირად ჩანდა ხოლმე, ან სხვა რა უნდა მოემოქმედებინა, იმისათვის რომ შეემჩნიათ და გულგრილობის უსაზღვრო სევდა დაენახათ მის ფერმკრთალ სიცისფრეში. აღარც რაიმეს იმედი ჰქონდა, ხვდებოდა, რომ ადამიანები ვერ გამოსწორდებოდნენ, მათ ყურადღებას ყოველთვის ვერცხლისფრად ანთებული მზე, მოლივლივე ტალღები თუ მკრთომარე ხომალდები მიიპყრობდნენ, ვიდრე საკუთრივ ის, მოსაწყენი და ერთფეროვანი მოლურჯო ზოლი.

ყოველ დაღამებას სევდიანი შეუერთდებოდა ხოლმე. საკუთარ თავს ერთსახოვან სიშავეში ჩაძირავდა, რომ დროებით მაინც განეგდო სასოწარკვეთა. განთიადს კი ყოველთვის ახალი იმედებით ეგებებოდა, რომ ახლა მაინც ვინმეს მოევლო მისთვის თვალი, დაენახა მისი უსასრულო მწუხარება და მცირედი თანაგრძნობა მაინც გამოეხატა მის მიმართ. იქნებ როგორმე, ერთ ფოტოსურათში მაინც მიეღო მეფობის გვირგვინები.

3.

მომდევნო დილით უნივერსიტეტში წავიდა, რათა სამი დღით წასვლის ნებართვა მოეპოვებინა, შუადღით კი გზას დაადგებოდა მეუღლესთან ერთად. ირგვლივ საამური სიჩუმე გამეფებულიყო, როგორც ეს დილას შეჰფერის, თითქოს არაფერი აკლდა მოჩვენებით სიმშვიდეს, ერთადერთი – ჰორიზონტი არსაით ჩანდა. შენობაში შესულს უეცრად საკუთარი ლექციები მოაგონდა, მოეჩვენა, რომ ისინიც ისეთივე დამღლელი და მოსაწყენი იყო, როგორც მისი ცხოვრება.

საქმეთა მმართველის კარებზე ფაქიზად დააკაკუნა და ოთახში შეაბიჯა. ქალი, რომელსაც მართლა დაეჯერებინა, რომ საქმეთა მმართველს წარმოადგენდა სავარძლიდან წამოიმართა და კაცს მიესალმა. რამდენიმე წამით უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა, თითქოს ვერცერთს ვერ გაებედა სიჩუმის ტალღების ნელი არპეჯოებისთვის ხელი შეეშალაო. ბოლოს სიჩუმე ისევ კაცმა დაარღვია.

– იმისთვის გაწუხებთ, რომ სამი დღით წასვლა ვითხოვო.

საქმეთა მმართველს სახე მოექუფრა.

– ხომ გესმით, რომ სასწავლო პროცესისას მსგავსი რაიმეს თხოვნა, უაღრესად რთული დასაკმაყოფილებელია – წუხილით წარმოთქვა საქმეთა მმართველმა. – თუ გამოუვალი მდგომარეობა არ არის, ცხადია.

– ექიმს უნდა ვეჩვენო, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, – მოიტყუა კაცმა, რომელსაც ჰორიზონტის ნახვა გადაეწყვიტა.

ქალი მიხვდა, რომ კაცის წარმოთქმულის ვერც სიმართლეს და ვერც სიცრუეს მარტივად ვერ დაამტკიცებდა, ამიტომაც გადაწყვიტა დათანხმებოდა.

– კარგით, წადით, რადგან ასეა საქმე, როგორმე ჩაგანაცვლებთ სამი დღის მანძილზე.

კაცს მადლიერების ნიშნად გაეღიმა და სავარძლიდან წამოდგა, გასასვლელი კარისკენ გაემართა, რომ ქალის ხმა მოესმა.

– ჰო მართლა, ექიმის ცნობა ხომ არ გაქვთ?!

– სამწუხაროდ, არა – აღმოხდა კაცს.

– მაშინ ხელფასი დაგექვითებათ, სამი დღის გაცდენის გამო. ცნობა რომ გქონდეთ, რაღაცას მოვახერხებდით.

– არა უშავს, – წარმოთქვა საპასუხოდ კაცმა.

– ისე კი, უმჯობესია რექტორსაც თუ ჩააყენებთ საქმის კურსში.

– ნახვამდის, – თქვა კაცმა და დამშვიდობების ნიშნად ქალს თავი დაუქნია.

რექტორის კაბინეტში გამოფიტული სიმარტოვე დავანებულიყო. შევიდა თუ არა მაგიდაზე დახვავებულ ფურცლების ოკეანეს მოჰკრა თვალი. რექტორი არ ელოდა დილაუთენია მის სტუმრობას. ერთმანეთს არც თუ ისე ხშირად ხვდებოდნენ.

– რამ შეგაწუხათ ბატონო, ხომ ყველაფერი კარგადაა?! – წამოიწყო რექტორმა.

– ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ სამი დღით წასვლა მინდა ვითხოვო, საქმის მმართველმა უკვე იცის და მაინც მინდა, რომ თქვენც იცოდეთ.

– მაგრამ ასეთ დროს?! – გაკვირვებით იკითხა რექტორმა – ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, – მყისვე უპასუხა კაცმა, რომელსაც ჰორიზონტის სანახავად წასვლა გადაეწყვიტა.

– არადა ავადმყოფობის არაფერი გეტყობათ, შესანიშნავად გამოიყურებით – ღიმილით მიმართა რექტორმა.

– ეს მხოლოდ გარეგნულად, შინაგანად კი...

– ექიმის ცნობა ხომ გაქვთ?!

– სამწუხაროდ, არა – ისევ გაიმეორა კაცმა.

– მაშინ, ხომ იცით, რომ ხელფასი დაგექვითებათ.

– ეს უკვე მითხრეს – დაეთანხმა კაცი.

– მაშინ ბედნიერ სამ დღეს გისურვებთ – დამშვიდობების ნიშნად წარმოთქვა რექტორმა და ისევ საკუთარი მაგიდის მოწყენილობაში ჩაიძირა, როგორც თევზი უსასრულო ოკეანეში.

გარეთ ბედნიერი გავიდა და საკუთარი ავტომობილისკენ გაეშურა. მეუღლეს დაურეკა და სთხოვა წასასვლელად მომზადებულიყო. შუადღე თანდათან ახლოვდებოდა და ცაც კიდევ უფრო იღრუბლებოდა. ჯერ კიდევ არ უწყოდა, მზიანი ჰორიზონტი უფრო ააღელვებდა, თუ წვიმიანი, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას კაცისთვის, რომელსაც უბრალოდ ჰორიზონტის ნახვა გადაეწყვიტა.

4.

შუადღის მიწურულს წვიმა წამოვიდა, წვიმის წვეთები ტკივილით ეხლებოდა ავტომობილის საქარე მინას და რაც უფრო ირეოდა ამინდი, მით მეტად ემატებოდა ბრაზი ქალს, რომელსაც საბოლოოდ გადაეწყვიტა ქმარს ზღვაზე არ წაჰყოლოდა და ზღვასთან ახლომდებარე ქალაქში დარჩენილიყო, საერთო მეგობრებთან ერთად იუბილეზე.

– მთელი ეს დღეები ასეთი ამინდი იქნება – ამოიოხრა ქალმა, მაგრამ კაცს პასუხი არ გაუცია.

უეცრად ზეცამ გაიელვა და რამდენიმე წამში გრუხუნის ხმაც გაისმა.

წვიმის წვეთებიც კიდევ უფრო გახშირდა, ვიდრე მანამდე, სანამ გაიელვებდა.

– არა მგონია სამი დღე უწყვეტად იწვიმოს, იქნება ისეთი წუთიც, როცა ცა მოიწმინდება – იმედიანად წარმოთქვა კაცმა.

– მხოლოდ შეშლილს თუ მოუნდებოდა, ასეთ დროსა და თავსხმაში ზღვაზე წასვლა. არადა მთელი ზაფხული გთხოვდი ზღვაზე წავსულიყავით და ფეხი ადგილიდან ვერ მოგაცვლევინე, გამუდმებით საქმეს იმიზეზებდი. ახლა კი ყველაზე უფრო შეუფერებელ დროს მიდიხარ...

– მაინც არ მესმის, რატომაა შეუფერებელი დრო, რადგანაც წვიმს?! – გაკვირვებით წარმოთქვა კაცმა, თითქოს მართლა არ ესმოდა შექმნილი ვითარების სირთულე.

– წვიმს და თანაც ნოემბერია, ყველა მუშაობს. ზღვის სეზონი კი რამდენიმე თვის წინ დასრულდა.

– მაგრამ მე ზღვის სანახავად არ მივდივარ, არამედ ჰორიზონტის...

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე ზღვაზე არ მოგყვები, არ ვაპირებ აგყვე ამ გაუგებრობაში. გრეტასთან შევიაროთ და იქ დავრჩები, საღამოს იუბილეზე წავალთ, შენ კი სადაც გინდა იქ წადი, ისე კი უხერხულია შენს მეგობრებთან.

– ყველა იქ იქნება, შენ გარდა.

კაცს გული დაწყდა, რომ მეუღლე ვერ დაიყოლია ზღვაზე წამოსულიყო. ისევ მარტო მოუწევდა წასვლა, მეგობრებიც ამ ერთხელ როგორმე გაუგებდნენ. ერთი კი ის იყო, რომ მეუღლეს მისი ვერმისვლის სხვა მიზეზი უნდა ეთქვა, იმასაც ფიქრობდა, რომ დიდად არც ქალს ესმოდა მისი, ალბათ გულის სიღრმეში, რას არ ფიქრობდა და რა ეჭვები არ უღრღნიდა სულს.

– თქვი, რომ შეუძლოდ ვარ, – ნელა წარმოთქვა კაცმა.

– ცხადია, რაიმეს მოვიფიქრებ, თორემ ვინ დაიჯერებს ამ სიგიჟეს – განაგრძობდა მრისხანედ ქალი, როდესაც ისევ გაიელვა და ქუხილმაც არ დააყოვნა. კაცმა რადიო ჩართო, რომ ქუხილისა და ქალის ხმები მუსიკით გადაეფარა. რადიოდან რომელიღაც უცნობი კომპოზიციის ხმა გაისმა. კაცს ყოველთვის ხიბლავდა უცნობი კომპოზიციები, მაგრამ ახლა მოსმენა უჭირდა, რადგან მუსიკალურ ხმებს, რადიოს ვნებიანი შიშინისა და ქალის ქუხილისეული მრისხანების ხმები ახშობდა.

– არ მინდა მუსიკის მოსმენა – გაბრაზებით წარმოთქვა ქალმა და რადიო გამორთო.

– კარგი, როგორც გინდა – უპასუხა კაცმა.

– ვიცი, რომ ჰორიზონტის სანახავად არ მიდიხარ, – მიახალა სათქმელი ქალმა.

კაცს არაფერი უპასუხია, დიდად არც აქვს აზრი ამტკიცო საკუთარი ერთგულება, იქ სადაც დაუსრულებლად სჯერათ შენი ღალატის.

უეცრად კი კაცმა ავტომობილის სარკეში გაიხედა და დაინახა მაღალი სიჩქარით მომავალი ავტობუსი თანდათან რომ უახლოვდებოდა. მალე კი ავტობუსმა მის ავტომობილს ჩაუქროლა, მას კი მოეჩვენა, რომ კარგს არაფერს მოიტანდა ასე გადამეტებული სიჩქარე.

– ზედმეტად დიდი სიჩქარეა, წვიმიანი გზისთვის – წარმოთქვა კაცმა და შენიშნა, რომ ავტობუსი მისი მხედველობის არიდან უკვე გამქრალიყო, თითქოს არც არასდროს არსებულაო.

როცა ზღვასთან ახლომდებარე ქალაქში შევიდნენ, წვიმას ცოტათი გადაეღო. ჩამოწოლილი სიჩუმე კარგა ხანი არცერთს აღარ დაერღვია, საბოლოოდ კი კაცმა თქვა:

– მგონი, მოვედით, რამდენი ხანია აქ აღარ ვყოფილვარ. ქალს არაფერი უთქვამს, თითქოს საკუთარ ეჭვნარევ ამოოხვრაზე მოელის პასუხსო. კაცის სიჩუმით კი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყო ქმრის ღალატში, ცოტათი ბრაზი იპყრობდა, რომ კაცმა უფრო ჭკვიანური მიზეზი ვერ მოიფიქრა და ამასთან ისიც თან წაიყვანა. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ ეუცნაურა. რა მოხდებოდა, რომ მართლა წაჰყოლოდა და ნიღაბი ჩამოეხსნა ყველაფრისთვის, თუმცა ქალი უკვე ყველაფერში დარწმუნებულიყო,

რა აზრი ჰქონდა ზედმეტი ტრაგედიის გათამაშებას, ქალაქში დარჩებოდა და დროს საამოდ გაატარებდა მეგობრის იუბილეზე. ალბათ რომაც მოვიდოდა, რისთვის უნდა დაემძიმებინა ისედაც მძიმე წუთისოფელი.

ავტომობილი მაღალსართულიანი შენობებით დანაწევრებულ ეზოში შევიდა და ერთ-ერთ მათგანთან გაჩერდა. კაცი ხედავდა, რომ იმ სადარბაზოსთან, სადაც გაჩერდა, უზარმაზარი სატვირთო გაჩერებულიყო, გაურკვეველი ყუთებით სავსე. უეცრად კი რამდენიმე ადამიანიც შენიშნა, რომელთაც კუბო შეჰქონდათ სადარბაზოს ვიწრო შესასვლელში.

– მეგობრის სანახავად მაინც ამოდი?! – უკანასკნელად ჰკითხა ქალმა.

– არ მინდა შევაწუხო, თანაც მეჩქარება, ორ დღეში ჩამოგაკითხავ – მყისვე მიუგო კაცმა და დასამშვიდობებელი კოცნისთვის გაიწია. ქალმა შეეცადა სახე განერიდებინა, მაგრამ ვერ მოასწრო და კაცის ტუჩები ქალის ლოყას შეეხო, როგორც ხომალდი ზღვის ზედაპირს.

– კარგი, როგორც შენ გინდა, წადი ვისთანაც ასე მიგეჩქარება – დანანებით წარმოთქვა ქალმა და ავტომობილის კარი მოიჯახუნა.

კაცი სევდიანად უმზერდა მიმავალ ქალს, ვიდრე გაუჩინარდებოდა. ესმოდა მისი სიბრაზისა და ცოტათი გაუხარდა, რომ მასთან გამომშვიდობება მცირე, მაგრამ მაინც ალერსით შეძლო. ხვდებოდა, რომ ქალი დარწმუნებული იყო მის ღალატში, ისიც იცოდა, რომ იუბილეზე წასვლა უფრო მეტად მისი მეგობრის, რომას გამო მოეწადინებინა. ამაზე დიდად არც დარდობდა, ან რისთვის უნდა ედარდა, წინ

ხომ უსასრულო ჰორიზონტი ელოდა. ერთი კი იცოდა, რომ ქალი სადაც ან ვისთან ერთადაც არ უნდა ყოფილიყო, უსაზღვროდ ეყვარებოდა. სადაცაა ავტომობილი უნდა დაეძრა, რომ თვალი მოკრა, როგორ გამოვიდა სადარბაზოდან ფერმკრთალი მოხუცი და სატვირთო ავტომობილის სიახლოვეს გაჩერდა, ხელში უზარმაზარი ყუთი ეკავა, უეცრად კი ყუთი ძირს დადო და თვალცრემლიანი მზერა შეანათა სამყაროს, რომელიც თითქოს ახლახან დატოვაო.

ავტომობილი დაძრა და ცრემლი მოერია. ახლა უკვე შეეძლო მუსიკისთვის მოესმინა, რადიო ჩართო და ისევ უცნობი ჰანგების ხმა გაისმა, ჯაზის რომელიღაც კომპოზიციას წააგავდა. საყვირები მაღალ რეგისტრებს მიაპობდნენ, როცა უეცრად ფორტეპიანოს ლეგატოები ჩაერთო საქმეში. წვიმის ხმა კი გასაოცრად ავსებდა მუსიკის ღვთაებრივ აღელვებას.

მალე კი ზღვაც გამოჩნდა. კაცს გაეღიმა, იგრძნო, რომ მიზანთან ახლოს იყო, სულ რამდენიმე კილომეტრი აშორებდა სანაპიროს ზოლს. ავტომობილი მოსახერხებელ ადგილას გააჩერა და სანაპიროსკენ ფეხით გაემართა. წვიმას გადაეღო და ცაც იწმინდებოდა, მეუღლისადმი ნათქვამი სიტყვები მოაგონდა, რომ იქნებოდა ისეთი წუთიც, როცა ზეცა მოიწმინდებოდა. მთავარია გულით გსურდეს და ზეცაც კი განიქარვებს ღრუბელთა ლაშქარს.

სანაპირო ფეხაკრეფით გადაიარა და ზღვის პირისპირ აღმოჩნდა. ზღვა ცოტათი ღელავდა, როგორც მაშინ, მის ბავშვობაში. შემდგომ კი ჰორიზონტს გახედა და მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, როგორც ორი დაუსაბამო სევდა გულგრილობისა.

კაცს ცრემლი წასკდა, როგორც ჰორიზონტს და ორთავე მიხვდა, რომ საკუთარ თავს უმზერდა. კარგა ხანს უძრავად იდგა და თვალს არ აშორებდა ჰორიზონტის უსაზღვრო მწუხარებას, გრძნობდა, თუ როგორ თანდათან ხდებოდა საკუთარი თავი. ბოლოს კი გადაღვრა დაიწყო ჰორიზონტის ფერმკრთალ სიმწუხარეში.

5.

ქალი საგამოძიებო უწყებაში მესამედ მიდიოდა. ამჯერად პირისახეზე ცრემლი შეშრობოდა და ცოტათი დამშვიდებულიყო. შავი ფერის სამოსი განსაკუთრებულად მომხიბვლელს ხდიდა, აქამდე არასდროს შეუნიშნავს, რომ ფერმკრთალ სახეს შავი ფერი გასაოცრად ამშვენებს.

საქმის მთავარი გამომძიებლის ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა და კარი შეაღო. გამომძიებელმა მოკრა თუ არა ქალს თვალი, გამომეტყველება შეეცვალა, რადგან ბევრი არაფერი ჰქონდა მომხიბვლელი ქალისთვის სათქმელი.

– მობრძანდით, – კრძალვით წარმოთქვა გამომძიებელმა.

– სიახლე ხომ არაფერია?! – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ქალი.

ვიდრე სიტყვას დაძრავდა, რამდენიმე წამი ქალის გაფითრებულ სახეს უმზერდა, გული სწყდებო-

და, რომ ისევ ვერაფერს ეტყოდა, რაც შვებას მოჰგვრიდა მის არსებას.

– საპოლიციო ძალები მთელი ძალითაა ჩართული სამძებრო საქმიანობაში – წამოიწყო გამომძიებელმა – ყველგან ვეძებთ, ზღვაშიც და ხმელეთზეც,

სანაპიროს მთელი პერიმეტრი შევისწავლეთ, ქალაქის ყველა უბანი დავიარეთ, მაგრამ არსაით ჩანს მისი კვალი. თვითმხილველებიც არ არიან. ასე რომ, ახალი არაფერია – ამოიოხრა სიტყვის დასასრულს.

– ნუთუ მართლა არაფერია ხელჩასაჭიდი?! – ცრემლი წასკდა ქალს.

– ვწუხვარ, მაგრამ არაფერი. ისე კი თვითმკვლელობას ჰგავს, ვიდრე უბედურ შემთხვევას. ბოლო ხანს რაიმე საეჭვო ხომ არ შეგიმჩნევიათ?!

– გამუდმებით დაღლას იმიზეზებდა ხოლმე, ბოლოს კი ჰორიზონტის სანახავად წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მაინც არ მგონია, ასეთი ნაბიჯი გადაედგა – ცრემლნარევი სითბოთი თქვა ქალმა.

– ჰორიზონტი... – ჩურჩულით გაიმეორა გამომძიებელმა – ჰორიზონტი, რომელიც თითქოს არსებობს, მაგრამ ამავდროულად არც არსებობს.

– თუ შეიძლება, რომ სავარაუდო შემთხვევის ადგილი ვნახო – წარმოთქვა საპასუხოდ ქალმა, თითქოს უკანასკნელ ნუგეშს ეძებსო.

– თუკი ეს შვებას მოგგვრით, რატომაც არა – უპასუხა და წასასვლელად წამოიმართა. ქალს ესიამოვნა უპირობო თანხმობა და სავარძლიდან წამოდგა. რამდენიმე საათში უკვე ზღვის სანაპიროსთან იყვნენ. გამომძიებელმა ქალს ის ადგილი აჩვენა, სადაც კაცის ავტომობილი აღმოაჩინეს.

– ამ ადგილის მერე მისი კვალი იკარგება – ჩუმად თქვა გამომძიებელმა. საღამო თანდათან ახლოვდებოდა და ზეცაც იღრუბლებოდა, რამდენიმე საათიც და ალბათ წვიმაც წამოვიდოდა. ქალი გამომძიებელთან ერთად სანაპიროს გაუყვა მღელვარე ზღვის მიმართულებით და როცა ხმელეთისა და ზღვის საზღვარს მიადგა – შეჩერდა, რამდენიმე წუთი აკვირდებოდა წყლის უზარმაზარ ნაკადს, ხმელეთის სიმშრალეს რომ მძვინვარედ ერეოდა.

– მინდა, მარტო დამტოვოთ – წუხილით წაიჩურჩულა ქალმა, – კარგით, მოშორებით ვიქნები – უპასუხა გამომძიებელმა. ქალს აღარაფერი უთქვამს, უსიტყვოდ იდგა ზღვის წინაშე, როგორც ძვირფასი სევდის ქანდაკება. შემდეგ ჰორიზონტს გახედა, შორეულ და მიმქრალ ზოლს, როგორც მიჯნას არსებობისა და არარსებობისა. ცრემლი კვლავაც მოერია, მაგრამ ვერ გაეგო ეს კაცის მონატრების ცრემლები იყო თუ ჰორიზონტის უსაზღვრო მიმქრალობისა. გული წყდებოდა, მიხვდა რომ კაცი არ უნდა მიეტოვებინა, რომ მასთან ერთად უნდა წამოსულიყო ჰორიზონტის სანახავად. ახლა უკვე ყველაფერს ნანობდა, მეგობრებთან ერთად აღნიშნულ იუბილესა თუ რომასთან გატარებულ ღამეს.

ცრემლები ახალ-ახალ გზებს კვალავდნენ ქალის სახეზე, ის კი ჰორიზონტის სევდისფერ ზოლს ცრემლიან თვალებს არ აშორებდა. უეცრად მსუბუქმა ნიავმა დაქროლა და ქალმა ლოყაზე ნაცნობი კოცნა იგრძნო, რომელიც ნიავის ქროლას მოჰყვებოდა ჰორიზონტის სიშორიდან. სხეულში სითბო ჩაეღვარა, როგორც ერთი კვირის წინ, როდესაც ავტო-

მობილში კაცს ემშვიდობებოდა. მოაგონდა, რომ მაშინ ეცადა კოცნისთვის სახე აერიდებინა, ახლა კი სახე ჰორიზონტის სიშორისთვის მიეშვირა.

უეცრად პირი იბრუნა და გამომძიებლისკენ დაიძრა, რომელიც მოშორებით იდგა და ქალს ელოდა.

– მინდა, რომ სამძებრო სამუშაოები შეწყდეს – მიმართა ქალმა.

– კი მაგრამ, რატომ?! – გაუკვირდა გამომძიებელს.

– რადგან მე უკვე ვპოვე ის – ჩურჩულით თქვა ქალმა.

გამომძიებელს ვერაფერი გაეგო, მაგრამ ქალს უსიტყვოდ დაეთანხმა. ქალმა ისევ პირი იბრუნა და ზღვისკენ დაიძრა. ისევ გახედა ჰორიზონტის ფერმკრთალ ზოლს და გაეღიმა. უკვე ყველაფერი გადაეწყვიტა. სახლს გაყიდდა და საცხოვრებლად ამ ადგილთან სადმე ახლოს გადმოვიდოდა. ყოველ დილით გაივლიდა სანაპიროს და ჰორიზონტს სევდიან მზერას შეანათებდა. მიიღებდა თავის კუთვნილ კოცნას, რომელსაც მსუბუქი ნიავი მოაქროლებდა და მომავალი დღის სიმწუხარეც ალერსის მკრთალი სხივებით გადაივსებოდა.

ახლა კი მისი უსაზღვრო მწუხარება მცირეოდენ შვებას ჩაენაცვლებინა. უმზერდა ზღვის ტალღებზე მოლივლივე შორეულ გემებს და თითქოს არარსებულ, მოცისფრო ზოლს, რომელმაც მიახვედრა, თუ როგორ სიგიჟემდე უყვარდა კაცი, რომელიც ჰორიზონტის სანახავად წავიდა.